საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მირაშხანი

მირაშხანი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ასპინძის მუნიციპალიტეტში (ნაქალაქევის ადმ. ერთეული). მდებარეობს ახალქალაქის პლატოზე, მტკვრის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 1300 *მ*. 312 მცხ. (2014). სოფელი, რ-შიც ჩაასახლეს აჭარის მეწყრული ზონიდან გადმოსახლებული მოსახლეობა, დაფუძნდა 1984. *მ*. თურქეთის საზღვრიდან ორ კილომეტრში მდებარეობს, რამაც მას სტრატეგიული მნიშვნელობა შესძინა. სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.